საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 1 აპრილი, 2023 წელი

დრო: 15:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. სანდრო ბარამიძე - მოწვეული სტუმარი
3. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
4. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემი თბილისი
5. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცაი
6. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
7. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
8. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
9. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
10. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
11. ლაშა ბლიაძე - პროფესიული კავშირების გაერთიანება
12. ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი საქართველო
13. ვახტანგ მაისაია -საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
14. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
15. გიორგი ჭუმბურიძე - ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი ქუთაისი
16. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა

17. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
18. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
19. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
20. სალომე სვანიძე - სამოქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისთვის
21. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
22. თამარ ჯაფარიძე - დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ
23. მაკა ჯახუა - მწვანე ტალღა
24. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
25. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
26. ალექსანდრა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
27. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
28. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
29. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია “ქალი და ბიზნესი“
30. მალხაზ გაგუა - პრესის ასოციაცია

განსახილველი საკითხები:

1. ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიმოხილვა
   მომხსენებლები:

   - ალექსანდრე ბარამიძე - მოწვეული ექსპერტი
   - ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, დირექტორი
   - ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი საქართველო, ხელმძღვანელი.

ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების გაფართოებული შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

თავდაპირველად, პირველი ჯგუფის კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა, მიმოიხილა ვენეციის კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები. მან მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმარს შეხვედრაში მონაწილეობისთვის.

შეხვედრისას მომხსენებლებმა დეტალურად განიხილეს ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებული რეკომენდაცია პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტზე დეოპლიგარქიზაციის შესახებ. მოწვეულმა სტუმარმა, სანდრო ბარამიძემ, მიმოიხილა შინაარსობრივი ნაწილი ვენეციის კომისიის დასკვნის. მან დეტაურად განიხილა ის რეკომენდაციები, რომელსაც ვენეციის კომისია სთავაზობს საქართველოს პარლამენტს. ვენეციის კომისია გამოყოფს 2 მიდგომას დეოლიგარქიზაციის საკითხთან დაკავშირებით. პირველი ეს არის პერსონალური მიდგომა, რომელიც მიიღო უკრაინამ და რომელიც მეტ საფრთხეს შეიცავს დემოკრატიული ღირებულებების დარღვევის თვალსაზრისით. მეორე მიდგომა კი გულისხმობს სისტემურს, რაც ნიშნავს, რომ არსებული სისტემების გაძლიერებით უზრუნველყოფ ქვეყანაში ოლიგარქების გავლენების შესუსტებას. ვენეციის კომისიის მხრიდან რეკომენდაციების მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენაზე დააბრუნა კანონპროექტი დეოლიგარქიზაციის შესახებ. მომხსენებლებმა, ნონა ქურდოვანიძემ და ეკა ციმაკურიძემ, ისაუბრეს იმ საფრთხეებსა და რისკებზე, რომელიც კანონპროექტის ამ რედაქციით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს. ასევე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია კანონპროექტზე მსჯელობა გაგრძელდეს და გათვალისწინებული იყოს ვენეციის კომისიის მიერ შემუშვებული რეკომენდაციები. მათი მოსაზრებით, სისტემური მიდგომა, რომელსიც შემოთავაზებულია რეკომენდაციის ფარგლებში, არის ის, რისი საშუალებითაც მეტად ეფექტურად შეიძლება მოხდეს დეოლიგარქიზაციის საკითხზე მუშობის გაგრძელება.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრები, სამუშო შეხვედრას გამართავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. შეხვედრაზე დაფიქსირებული იქნება საკოორდიანციო საბჭოს ხედვა დეოლიგარქიზაციის კანონპროექტზე ვენეციის კომისიის რეკომედაციასთან დაკავშირებით. ასევე საუბარი იქნება სამუშაო ჯგუფების მუშაობის ფორმატებზე. შეთავაზებული იქნება სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდა და ასევე სამუშაო ჯგუფისთვის ღია ფორმატის მიღება.

მომხსენებელთა სიტყვით გამოსვლის შემდეგ, შეხვედრა დისკუსიისა და კითხვა/პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, სადაც ყველა მონაწილეს შეეძლო დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია და ხედვა, ასევე დაესვა კითხვები როგორც მომხსენებლებისთვის, ისე საკოორდინაციო საბჭოს წევრებისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე